აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №10

29/09/2024 წელი **ქ. ბათუმი**
12⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - **პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;

სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი - პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;

დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

კახაბერ ჯაიანი - კომისიის წევრი - პ/გ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;

ზურაბ გოლიაძე - კომისიის წევრი - პ/გ „გირჩი“;

სალომე რაზმაძე - კომისიის წევრი - პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“.

არ ესწრებოდნენ:

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“;

ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“;

გიორგი ხოკერაშვილი - კომისიის წევრი - პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები უსკოში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“ რეგისტრაციის შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12 ;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“ რეგისტრაციის შესახებ.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ა(ა)იპ-ის „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-12 პუნქტის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა(ა)იპ „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ მიერ 2024 წლის 25 სექტემბერს წარმოდგენილი განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/100) საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა

დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას ა(ა)იპ „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“ რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“ რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ა(ა)იპ-ის მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“ რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-12 პუნქტის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა(ა)იპ მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“ მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს წარმოდგენილი განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/113) საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას ა(ა)იპ მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**